ხედვა 27 (2007)[1]1

ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა განვითარება

(წინასწარი რეკომენდაციის პროექტი რომელიც ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის კომიტეტმა მოამზადა (CDLR))

კონგრესი,

1. ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის კომიტეტის თხოვნით, ჩვენი ხედვა გაგვეზიარებინა წინასწარ რეკომენდაციის პროექტზე ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდის შესახებ,

2. ხელს აწერს და ეთანხმება ყველა ძირეულ პრინციპს რომელიც ჩამოწერილია წინასწარი რეკომენდაციის პროექტში;

3. ხაზს უსვამს, რომ წევრი ქვეყნების იმ ძალისხმევის მიუხედავად, რომელიც მიმართულია ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდაზე, ამ პროცესმა ხელი არ უნდა შეუშალოს სუბსიდიარობის პრინციპს და ადგილობრივი თვითმმართველობას;

4. ხაზს უსვამს ადგილობრივ თვითმმართველობის ევროპული ქარტიის (ETS No. 122) მნიშვნელობას და მისი ზედმიწევნით დაცვისაკენ, შესრულებისა და პატივცემისაკენ მოუწოდებს.

5. ახსენებს, რომ მე3-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი (”.... საზოგადოებრივ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილის მართვის უფლება და შესაძლებლობა თავიანთივე პასუხისმგებლობით ...”) და ადგილობრივ თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-6-ე მუხლს (სადაც საუბარია ”სათანადო ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და რესურსების საჭიროებაზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობისათვის“) რომელიც არჩეული წარმომადგენლებისა და პერსონალისათვის საჭირო უნარების სისტემატურ და მიმდინარე განვითარებას საჭიროებს;

6. ეხება ნაწილობრივ ადგილობრივ თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-6-ე მუხლის მე-2-ე პარაგრაფს, რომელიც ადგილობრივი მთავრობის თანამშრომელთა სამსახურის პირობებს, და რომელიც ხაზს უსვამს შესატყვისი სწავლების (ტრენინგის) შესაძლებლობებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივების არსებობას;

---

[1] . მიღებულია 2007 წლის 31 მაისის, კონგრესის მიერ (მდუმარე მიღების პროცედურა, კონგრესის საპროცედურო საკითხთა, რეგლამენტის 26-ე (წესი)იხილეთ CG(14)10 - დოკუმენტი, ხედვის პროექტი, რომელიც მომზადებულია კ. უაიტმორის მიერ (დიდი ბრიტანეთი, R, ILDG), მომხსენებელი).

7. რეკომენდაციის სახით დასძენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდის საჭიროების შესახებ აამაღლონ ცოდნა;

8. რეკომენდაციის სახით კიდევ დასძენს, რომ გავრცელდეს და გამოქვეყნდეს ის ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდისათვის გაწეულ საერთაშორისო დახმარებას შეეხება, , კერძოდ კი ცნობილი იყოს ამ ინიციატივის მხარდამჭერი ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა ევროპის საბჭოს ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის ექსპერტული ცენტრი და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი;

9. ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდისათვის სტრატეგიული და კოორდინირებული მიდგომის საჭიროებას, კერძოდ კი ცენტრალურ, რეგიონულ და ადილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან და აგრეთვე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით როგორებიც არიან ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნული ასოციაციები;

10. ხაზს უსვამს ევროპის საბჭოსა და თავად კონგრესის სტრატეგიულ როლს ექსპერტული დახმარების კუთხით ადგილობრივი მმართველობის რეფორმის სფეროში, რაც გამოკვეთილია ”ადგილობრივ დონეზე ეფექტური მმართველობისა და ინოვაციისადმი ევროპის საბჭოს სტრატეგიაში”;

11. ხაზს უსვამს ისეთი სტრუქტურების არსებობის აუცილებლობას, როგორებიცაა სამხრეთ- აღმოსავლეთ ევროპის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ასოციაციათა ქსელი (**NALAS**), ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის ევროპის სასწავლო ორგანიზაციათა ქსელი (**ENTO**) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (**ALDA**);

12. კვლავ აღნიშნავს, ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდისათვის გამიზნული ყოველი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერებასა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებულობას.

13. ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე ტრენინგების საჭიროებისთვის სათანადო ფინანსური საშუალებების აუცილებლობას;

14. დამატებით, რეკომენდაციის სახით დასძენს, რომ ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდისათვის გამიზნულმა ძალისხმევამ უნდა გაითვალისწინოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირების საჭიროება.

დანართი

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სამეთვალყურეო საბჭო (CDLR)

წინასწარი რეკომენდაციის პროექტი ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდის შესახებ

იურიდიული საქმეთა პირველი გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებული სამდივნოს მემორამდუმი

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის თანამშრომლობის დირექტორატი

შესავალი

ქვემოთ იხილეთ წინასწარი რეკომენდაციის პროექტი, რომელიც ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების სტრუქტურისა და უფლებამოსილების კომიტეტმა მოამზადა

საჭირო ღონისძიებები

წევრები მოწვეულნი არიან იმისათვის, რომ შეჯერდნენ სამუშაო ტექსტის საბოლოო ვერსიაზე და რათა უკვე შემდეგ კონგრესს გადაეგზავნოს აღნიშნული ტექსტი მოსაზრებისა და ხედვის გამოთქმის მიზნით.

წინასწარი რეკომენდაციის პროექტი ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდის შესახებ

ტექსტში ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების სტრუქტურისა და უფლებამოსილების კომიტეტის მიერ შეტანილი ცვლილებები, რომელიც მიღებული იქნა 2006 წლის 16-17 ოქტომბერის სხდომაზე, მოცემულია დახრილი შრიფტით.

მისინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15 ბ მუხლის საფუძველზე,

ითვალისწინებენ რა, რომ 2005 წლის 16-17 მაისის ვარშავის დეკლარაციაში ევროპის წევრი სახელმწიფოებისა და ქვეყნების მეთაურებმა, რიგით მესამე სამიტზე, განაცხადეს რომ „ეფექტური მმართველობა და დემოკრატია მმართველობის ნებისმიერ დონეზე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კონფლიქტების პრევენციის, სტაბილურობის განმტკიცების, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის, და შედეგად ისეთი მდგრადი სახელმწიფოების ჩამოყალიბების საქმეში, სადაც ადამიანებს სურვილი გააჩნიათ იცხოვრონ და იმუშაონ როგორც ახლა, ასევე მომავალში“;

აგრეთვე, ითვალისწინებენ რა, რომ აღნიშნული დეკლარაციის მიხედვით, ეს პროცესები მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზგადოების აქტიურ ჩართვას მოითხოვენ;

ცნობილია რა, რომ ვარშავის დეკლარაცია მოუწოდებს წვერ ქვეყნებს „შეინარჩუნონ და განავითარონ ეფექტური , გამჭირვალე და ანგარიშვალდებული დემოკრატიული ინსტიტუტები ყოველი ადამიანის საჭიროებისა და მისწრაფებების საპასუხოდ“;

ითვალისწინებს რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

იმისათვის, რომ აღნიშნული დებულება ამოქმედდეს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ჭირდებათ:

1. კარგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ინსტიტუციური უფლებამოსილების ჩარჩოები. აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიაში გათვალისწინებული „სრული და ექსკლუზიური“ უფლებების გადაცემა;

2. ქარტიით გათვალისწინებული ის ფინანსური რესურსები, რომელნიც უნდა იყოს თანაშეზომილი იმ უფლებამოსილებების რომელსაც ითვალისწინებს კანონი და კონსტიტუცია; და

3. უფლებამოსილება, რათა შეძლონ აწარმოონ მაღალი ხარისხის ადგილობრივი კომუნალური მომსახურებები და ადგილობრივი მოსახლეობა ჩართონ თავიანთ დემოკრატიულ საქმიანობაში;

იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებლობებში მოიაზრება აუცილებელი პოლიტიკური მმართველობა და კვალიფიციური ადამიანური რესურსები, ადგილობრივი საზოგადოების, თემების ადგილობრივ საქმიანობაში ჩამბა და სტრატეგიული მმართველობის (მენეჯმენტის) მეთოდების, წარმატებული პრაქტიკისა და პროცესების შექმნა და გამოყენება;

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთქმულიდან გამომდინარე უფლებამოსილება და შესაძლებლობები დამოკიდებულია როგორც არჩეულ წარმომადგენლებზე, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავე შტატზე;

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების არარსებობამ ან თუნდაც მისი არარსებობის დაშვებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის ნაკლები სამართლებრივი კომპეტენციებისა და რესურსების მინიჭება, რაც შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპის სრულ განხორციელებას შეუშლის ხელს;

იმის გათვალისწინებით, რომ წევრი ქვეყნების სახელმწიფოებს გააჩნიათ ლეგიტიმური ინტერესი ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების და მისი განვითარების მიმართ;

იმის გათვალისწინებით, რომ წევრი ქვეყნების სახელმწიფოების ძალისხმევა, მიმართული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების გაძილერებისადმი, წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს დემოკრატიულ საარჩევნო პროცესებთან და მან ასევე არ უნდა ხელყოს ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი;

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების განვითარებაში მონაწილეობს არა მხოლოდ თავად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, არამედ ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთვე მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციები და ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციები;

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუციურ საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციებთან დიალოგმა შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობათა ზრდის საქმეში, და რომ მან უნდა დააკმაყოფილოს ეფექტიანობის, გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების, წარმომადგენლობითობისა და ეფექტურობის პარამეტრები;

 იმის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის თებერვალში უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში ჩატარებულ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებაზე პასუხისმგებელ ევროპის მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ იქნა ”ბუდაპეშტის დეკლარაცია ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ეფექტური განხორციელების შესახებ” რომლის მნიშვნელობასაც ხაზი გაესვა 2005 წლის მაისში ვარშავაში ჩატარებულ სახელმწიფოებისა და ქვეყნების მეთაურების მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმით, რომელშიც ხაზგასმულია ის საკითხები თუ რა ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი მმართველობის შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს;

იმის გათვალისწინებით, რომ მაისში, ვარშავაში ჩატარებული სახელმწიფოებისა და ქვეყნების მეთაურების მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმის თანახმად, შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შესაძლებლობათა ზრდის საკითხებზე მომუშავე ”ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის ექსპერტული ცენტრი”;

მნიშვნელოვანია რა რიგ წვერ სახელმწიფოებში შესაძლებლობათა ზრდის სფეროში უკვე განხორციელებულ პროგრამებიდან მიღებული გამოცდილება, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს შესაძლებლობათა ზრდის პოლიტიკის შემუშავებას ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი დემოკრატიული რეფორმის მდრგადობისა და გაძლიერებისათვის;

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს ხელისუფლებათაშორისმა კანონმდებლობამ ზედმიწევნით უნდა აღიაროს ადილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების ზრდის და განვითარების მნიშვნელობა და მას უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს,

კონგრესთან კონსულტაციების შედეგად,

წევრი ქვეყნების მთავრობებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

1. ცალსახად აღიარონ:

ა. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, მაღალი ხარისხის კომუნალური მომსახურებების მიწოდებისა და მის დემოკრატიულ ფუნქციონირებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მნიშვნელობა;

ბ. რომ ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტური მუშაობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არჩეული წარმომადგენლების კომპეტენტურობასა და უნარ-ჩვევებზე, ასევე კორპორატიული მმართველობის შესაძლებლობაზე, სამუშაო ძალის ნაყოფიერებაზე (მათ უნარ-ჩვევებზე, მათი აყვანასა და შემდგომ დაკავებაზე), აგრეთვე ფინანსურ და პროექტის მართვის უნარ-ჩვევაზე;

გ. აღიარონ ამ შესაძლებლობათა შემდგომი განვითარების მნიშვნელობა;

2. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციებთან თანამშრომლობა, ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობათა განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს როგორც საჭიროებათა გამოვლენას და კონკრეტული, პრაქტიკული და მიზნობრივი პროგრამების შექმნას, ასევე მათი განხორციელების ხელშეყობას;

3. უფლების მიცემა, ხელშეწყობა და, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციების ჩათვლით სხვა დაინტერესებულ მხარეების, მხარდაჭერა იმისათვის, რომ მათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ და სტრატეგიულად მიუდგნენ:

- თავიანთი როლის ჩამოყალიბებას ადგილობრივი ხელისუფლების როგორც არჩეულ წარმომადგენლების ასვე პერსონალის (შტატის) შესაძლებლობათა გაძლიერებაში,

- შეიმუშაონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარების თავიანთი სტრატეგიული გეგმები მმართველი ძალის, სტრატეგიული მმართველობის, მომსახურების მიწოდების, საზოგადოების ჩართულობისა და საჯარო ეთიკის მუდმივი გაუმჯობესებისათვის;

- ჩამოაყალიბონ შესაბამისი სტრუქტურა, პროცესები და კომპეტენციები თავიანთ ორგანიზაციებში რათა შეისწავლონ, დაგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ ადგილობრივი და რეგიონული შესაძლებლობათა ზრდის პროგრამები;

- მაქსიმალურად გამოიყენონ შესაძლებლობის ზრდის ისეთი მეთოდოლოგია, როგორიცაა ტრენინგები, ექსპერტული შეფასებები, საუკეთესო მოდელები და საუკეთესო პრაქტიკა;

- მომსახურების მიწოდების სტანდარტების გასაუმჯობესებლად გამოიყენონ ქცევის მართვის ტექნოლოგიები. გამოიყენონ ევროპის საბჭოს შესაბამისი კანონმდებლობა და ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი (2001)19 რეკომენდაცია "მოსახლეობის ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვაზე" და ადგილობრივ დონეზე საჯარო ეთიკის საუკეთესო მაგალითების სახელმძღვანელო.

4 შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, ვითარებისდა მიხედვით,[2] ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და/ან მათ ასოციაციებთან, სადაც შესაძლებელია განიხილონ ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავეთა სამსახურის პირობები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი კადრის აყვანის უფლებას დამსახურებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე, და რომ ამ კუთხით უზრუნველყოფილია ტრენინგის შესაძლებლობები და ანაზღაურებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივები.

5 გაიზიარონ სხვა წევრ ქვეყნებსა და საერთაშორისო პარტნიორებს ზრდის მექანიზმები, განხორციელებული პროგრამების შედეგები და დასკვნები და მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

6 სადაც შესაძლებელია, წაახალისონ ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაციების ჩათვლით, საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარება

7. რა ფარგლებშიც ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები გადაცემულია ხელისულების სხვა დონეებზე, ხელი შეუწყონ, ზემოთ, 1-5 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.

8. ეს რეკომენდაცია თარგმნონ თავიანთ ოფიციალურ ენებზე და ეს დოკუმენტი გაავრცელონ ყველა შესაბამის მხარეებს, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლებებსა და მათ ასოციაციებს შორის.

---

[2] შეხვედრის შემდგომ, მიღებულ ტექსტის განხილვისას, სამდივნოში მიიჩნიეს, რომ ტექსტში მოყვანილმა სიტყვამ - "საჭიროებისამებრ" - შესაძლოა დაბნეულობა გამოიწვიოს და მის ნაცვლად უკეთესი იქნებოდა თუკი მის ნაცვლად გამოყენებული იქნებოდა "განიხილონ , თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან..."